პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი კვირა 2 დეკემბერი № 276 (17621) ფასი 2 კაპ.

საძმეთ გამოარჩინა

◆ ციტრუსოვანთა ხვავი

◆ ყველა უბანი, ცვლა — დროის გასწრებით

ს. სოფრომაძის („კომუნისტი"), ფ. კარიმსკის და ბ. ბერსამიას (საქინფორმი) ფოტო.

ცხაკაიას რაიონის ზხეფის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში გაჩაღებულია მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის კრეფა.

მეურნეობის მშრომელებმა სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღეს და ვალდებულება იკისრეს ხუთწლედის მეოთხე წლის ფინიშზე სახელმწიფოს მიჰყიდონ 1.900 ცენტნერი ციტრუსი. ეს 200 ცენტნერით აღემატება გეგმას.

უხვი მოსავლის კრეფაში საბჭოთა მეურნეობის მეციტრუსეებს დიდად ეხმარებიან ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეები.

სურათებზე: 100-150 კილოგრამ მანდარინს კრეფენ ყოველდღიურად ტექნიკუმის მოსწავლეები მაია ოჩიგავა და ოლეგ ორაგველიძე; კარგი სახელი მოიხვეჭა ახალგაზრდა მეციტრუსემ ნანა კილასონიამ.

საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის" ტყიბულის აღმოსავლეთ-2 შახტის კოლექტივი თვალსაჩინო შრომითს გამარჯვებებს აღწევს. მეშახტეებმა გეგმის გადამეტებით 6.400 ტონაზე მეტი ქვანახშირი ამოიღეს, ამასთან ტონა სათბობის თვითღირებულება 1 მანეთითა და 52 კაპიკით შეამცირეს.

დროის გასწრებით მუშაობს შახტის ყველა უბანი და ცვლა. განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს აღწევს № 2 საექსპლოატაციო უბნის ის ბრიგადა, რომელსაც სამთო ოსტატი შოთა სოფრომაძე ხელმძღვანელობს.

სურათზე აღბეჭდილი არიან ამ ბრიგადის წევრები: (მარცხნიდან) ტიტიკო ფორჩხიძე, ნოდარ გვენეტაძე, იაკობ გვეტაძე და შოთა სოფრომაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ვისახელოთ დამკვრელური შრომით!

ავტომოგზილმშენებელთა წარმატება

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ხუთწლედის ოთხი წლის საწარმოო გეგმა.

ხუთწლედის დამდეგიდან ქართველმა ავტომობილმშენებლებმა დავალების გადამეტებით გამოუშვეს სამი მილიონი მანეთის ავტომობილები, მისაბმელები, ძრავები, სათადარიგო ნაწილები და სხვა პროდუქცია.

(საქინფორმი).

...ოფლის ობიექტები

...ოფლის მეურნეობის ეკონო... შემდგომი აღმავლობის ...გრამა დაკავშირებულია დიდ ...ტალდაბანდებათა ათვისე...თან და მშენებლობის ორგანი...ციის გაუმჯობესებასთან. სოფ...ის მშრომელები რთულ სამუშაოებს ასრულებენ, დიდი მოცულობით აგებენ საცხოვრებელ და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტებს. სახეს იცვლის ქართული სოფელი, იზრდება ახალი საცხოვრებელი უბნები, სადაც არის საყოფაცხოვრებო მასსახურების სახლები, სავაჭრო ცენტრები, პოლიკლინიკები, სამბანაო დაწესებულებები, გაჰყავთ ...ალი სატრანსპორტო მაგისტრალები, წყალსადენის ხაზები, თბოელადგენები.

და მაინც, სოფლის მშენებელთა შუამობის შედეგები შეშფოთებას იწვევს. სოფლის მშენებლობაში ტექნიკურ-ეკონომიკური ...ჩვენებლები, შრომის ნაყოფიერება კვლავ დაბალი რჩება, თუმცა სამუშაოთა მექანიზაციის დონე საკმაოდ მაღალია.

მიმდინარე წლის გეგმით სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და ჩასაბარებელი 87 ათასი ...ერატული მეტრი საერთო ფართობის 86 საცხოვრებელი სახლიდან ოცდაექვსში შეიმჩნევა ...ორენა, ხოლო ხუთი სახლის ...ენება სათუოა.

განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს საცხოვრებელი სახლები, რომლებიც შენდება საგარეჯოში, ბანდაში, კოდაში, ქარელში, ...ალიახეში, გაგრაში, ქობულეთში, თელავში, მარნეულში, მცხეთაში, ლენინგორში, ოჩამჩირეში, ...ერეთელსა და ცხაკაიაში.

...ოსურად, და არა „საქსოფლენის" სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მიერ შედგენილი ...ოექტებით, წარმოებს სოფლად ...ფიციალური მშენებლობაც. ...ასალობა კარგად არ იცნობს ...ულების განაშენიანების, მათი ...ტექტურულ-მხატვრული იერსახის ჩამოყალიბების თანამედროვე პრინციპებს.

...პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ...ერი კონტროლი უნდა დაუწესონ სოფლის მშენებელთა საქმიანობას, ოპერატიულად გადაწყვიტონ ასამოქმედებელ ობიექტებზე ...ენ მასალათა და ადამიანთა ...ურსების კონცენტრაციის საკითხები, რათა მიმდინარე წელს ...აშენებელი ყველა საცხოვრებელი სახლი უოფოდ გადაეცეს სარგებლობლად. (საქინფორმი).

გამარჯვებული ხომალდები

ბათუმი. (საკ. კორ.). საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვაში. ხუთწლედის მეოთხე წლის შრომითს ვახტზე ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ სანაოსნოს გემების ეკიპაჟები და სახმელეთო ორგანიზაციები. ტვირთზიდვის გეგმა შესრულებულია 104,6 პროცენტით, ტვირთის დამუშავებისა — 109,5 პროცენტით.

ახლახან შეჯამდა მესამე კვარტალის შედეგები, გამოვლინდა გამარჯვებული კოლექტივები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მადანმზიდა „მხატვარმა კასიანმა", გამარჯვებულნი გამოვიდნენ აგრეთვე ტანკერ „ნადეჟდა კურჩენკოსა" და თბომავალ „გენერალ მერკვილაძის" ეკიპაჟები.

მესამე კვარტალში საქართველოსა და კასპის სანაოსნოებს შორის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობა ერგო ჩვენი რესპუბლიკის სანაოსნოს კოლექტივს.

მ. გორგილაძე.

რიტმულად შრომობენ

ონი. (საკ. კორ.). რიტმულად შრომობს ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი. მებარიტეებმა ათ თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 30 ათასი მანეთის პროდუქცია და სახელმწიფო დავალება 101,5 პროცენტით შესრულეს. დიდი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საგეგმო მაჩვენებლები. წლეულს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად 3 ათასი მანეთი დაიზოგა.

ჯ. ცირეკიძე.

მთელი ხმით, მთელი გულით

30 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა ირაკლი აბაშიძის დაბადების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

დამატებითი მიკროფონები ჩართეს, აუდიტორია სმენად იქცა, როცა ტრიბუნაზე ირაკლი აბაშიძე ავიდა.

— სანამ აქ გეახლებოდით და თქვენს წინაშე წარმოვსდგებოდი, — თქვა მან, — შოთა რუსთაველის ძეგლი მოვინახულე. იქიდან კი ამ დარბაზში მოვედი, რათა ვისარგებლო მონიშებული შესაძლებლობით და მადლობა გითხრათ ამისათვის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქში ძეგლი დაუდგით ქართველთა დიდ წინაპარს...

... პოეტი ხმადაბლა ლაპარაკობს, მტკივანი ყელი თოკავს ხმას, მაგრამ ჩვენ გვესმის ყველაფერი, რასაც ამბობს იგი, რადგან, როგორც თავად ირაკლი აბაშიძე ამბობს, ჭეშმარიტი პოეტი გულით ლაპარაკობს და მისი გულისთქმა ყველგან ისმის.

30 ნოემბერს მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში მისი 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე ათასხუთასიანი აუდიტორიის წინაშე გამოსვლისას ირაკლი აბაშიძე თავისი გულის მთელი ხმით ამბობს:

— ვსარგებლობ რა პოეტისა და უკვე ძველი კომუნისტის უფლებით, მინდა ჩემი ერის სახელით და ჩემი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის სახელით უღრმესი მადლობა მოვახსენო ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და მთავრობას, პლენტის მშვიდობის დაუღალავ შემოქმედს ლ. ი. ბრეჟნევს, 13 წლის წინ რომ გახსნა მოსკოვში რუსთაველის ძეგლი — ხალხთა მეგობრობის, სიყვარულისა და ჰუმანიზმის სიმბოლო... აქ მოვედი, რათა უდიდესი მადლობა გიძღვნათ აგრეთვე ჩემი მოკრძალებული პოეტური გარჯის მაღალი შეფასებისათვის...

პოეტი მთელი გულით ლაპარაკობს და ვეებერთელა დარბაზსაც მთელი გულისყური მიუპყრია მისთვის. ალბათ, სწორედ ეს არის პოეტური ნიჭის ერთადერთი უტყუარი კრიტერიუმი, მისი ჭეშმარიტი საწყაო — პოეტის სულიერ სამყაროში, მის გულში ადამიანთა გულისყურის მიზიდვის საწყაო. ამ გულს ესმის ხმა, რომელიც სხვას ვერავის გაუგონია, ესმის და აყიერებს ათასობით ადამიანის გულს. ასე იყო 1960 წელს, როცა იერუსალიმში ქართული ჯვრის მონასტრის გალავანთან ირაკლი აბაშიძემ ყამთა ხმას მიაყურადა. ასე იყო უფრო ადრეც, 1942 წელს, როცა მას კაპიტან ბუხაიძის ხმა ჩაესმა. ასე იყო ამ ცოტა ხნის წინათაც, ჩვენს დღეებში, როცა დაწერა გასაოცარი ძალის მიმართვა მამისადმი...

საღამოს თავმჯდომარემ ალექსი სურკოვმა სიტყვა მოსკოველ პოეტებს მისცა.

იური რიაშენცევი კითხულობს იოსიფ ბროდსკის „პოეტის გულის" თარგმანს.

ალექსანდრე მეჟეროვი — „ხმას ჯვრის მონასტრის გალავანთან".

არსენი ტარკოვსკი — „ხმას გოლგოთასთან".

ანდრია ვოზნესენსკი — პოეტის ძმისადმი მიძღვნილი ბალადის „ასტერნაკისეული თარგმანს.

ულზარმაზარ სუნთქვაშეკრულ დარბაზში ახმიანდა პოეტის მიერ გაგონილი და აყიერებული სხვადასხვა ეპოქის ხმები. აქედან ორიოდ ნაბიჯზე, მოსკოვის დათოვლილ მოედანზე ვლადიმერ მაიაკოვსკის ძეგლი ალმართულა. ჭეშმარიტი ლირიკა მუდამ ემიკურია, — აი რა გაგვახსენა მეუსიეოლად ამ მეზობლობამ.

— ისევე, როგორც ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა, — თქვა პოეტისადმი მიძღვნილ სიტყვაში გიორგი ციციშვილმა, — ჩვენმა თანამედროვემ ირაკლი აბაშიძემ კარგად იცის, რომ დიდ პოეზიას მხოლოდ დიდი სულიერი ძვრა შეგაქმნევინებს...

გამოდიან რასულ გამზათოვი და ბორის ოლეინიკი, ყაისინ ყულიევი და სერგი მიხალკოვი, ბელა ახმადულინა და ჯანსუღ ჩარკვიანი...

დარბაზში გაისმის ირაკლი ანდრონიკოვის საოცრად ახალგაზრდული ხმა. იგი ავად არის და ვერ მოვიდა ჩაიკოვსკის დარბაზში. სამაგიეროდ მაგნიტურ ფირზე ჩაწერა თავისი მოლოცვა: „გულში ვერ გიკრავ და ამ წერილით გეხმიანები. შენ უმცროსი ხარ მეოცე საუკუნის დიდ ქართველ პოეტებს შორის და უფროსი ახალგაზრდა თაობაში... ყოველი შენი სტრიქონი ზეიმურია. მიყვარხარ და ამ სიყვარულში პირველობას ვერავის დავუთმობ...".

საღამოს ვერც ივანე კოზლოვსკი დაესწრო. მოსალოდ წერილთან ერთად მან გამოგზავნა პურის თავთავების გვირგვინი, რომლითაც იოხლარი შეამკეს.

ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი და უმთავრესი მონაპოვარია მეგობრობა. როცა 70-ე წლისთავის დღეს კაცს ირგვლივ ამდენი შესანიშნავი მეგობარი ახვევია, მას სამართლიანად შეუძლია თქვას, ბედნიერი ვარო, შეუძლია თქვას მათი სახელითაც:

— ჩვენ, საბჭოთა პოეტები, ვიყაკეთ, ვართ და მარად ვიქნებით ხალხთა მეგობრობის, ხალხთა ძმობის დაუღალავი მეხოტბენი. ჩვენი ქვეყნის მთავარ გამარჯვებად სწორედ ამ ძმობას ვრაცხთ. ამ საპატიო საქმეს ვემსახურებოდი და ვემსახურები რამდენიმე ათეული წელია და, ვგონებ, კიდევ გამოვადგები. ამ კეთილშობილური საქმისათვის ჩვენ, საბჭოთა პოეტები, უბერებელნი და მარად ჭაბუკნი ვართ. დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენ, ამ შესანიშნავი საღამოს მონაწილეებს.

შემდეგ გაიმართა მოსკოვისა და საქართველოს ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი. იგი შუაღამისას დამთავრდა. ქუჩაში ქარი ქროდა და ირაკლი აბაშიძისათვის მორთმეული ყვავილებს თოვლს აყრიდა. გაახსენდა 1942 წლის იანვრის მოსკოვი. ჰიტლერელები ჯერ კიდევ ვოლოკოლამსკთან იდგნენ. ჩვენ, სამი ქართველი პოეტი, ვეწვიეთ ჯაშნოსან მატარებელს, რომელიც აქ, მოსკოვის დასაცავად გამოგზავნა საქართველოს დედაქალაქმა თბილისმა. მივიდით მოსკოვის დამცველებთან — ახალგაზრდა ქართველ მებრძოლებთან, რათა შეგვემოწმებინა, თუ როგორ სრულდება პარტიისა და ქვეყნისათვის მიცემული სიტყვა, გვენახა, რამდენად შევძელით ჩვენ, ჩვენი ადამიანებისათვის ხალხთა მეგობრობის მაღალი სულისკვეთება. უსაზღვროდ გვეამაყებოდა, რომ დიდ საქმეში ჩვენი მოკრძალებული წვლილიც იყო ჩაქსოვილი.

შუაღამის „მაიაკი" უკანასკნელ ცნობებს გვაუწყებს. პლანეტის სხვა ახალ ამბებთან ერთად გადმოსცა ცნობა ირაკლი აბაშიძის პატივგების საღამოზე. უნებლიედ გავიფიქრე, — მაინც რაოდენ გაუუყრელად ერწყმის-მეთქი ყველა ჭეშმარიტი პოეტის სიცოცხლე ქვეყნისა და მსოფლიოს ბედს.

* * *

ირაკლი აბაშიძის დაბადების 70-ე წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ მოწყობილ საღამოს დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე ე. მ. ტიაჟელნიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. ლობანინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სსრ კავშირის, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის, საქართველოს და სხვა მოძმე რესპუბლიკების მწერალთა კავშირების გამგეობათა მდივნები.

თ. მამალაძე,

საქინფორმის სპეც. კორ.

მოსკოვი, 1 დეკემბერი.

მხატვრის სამყარო

მ. თოიძის ნამუშევართა გამოფენაზე

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საგამოფენო დარბაზში გაიხსნა სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის მ. თოიძის პერსონალური გამოფენა.

თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის, მანძილზე ფერწერის ამ გამოჩენილმა ოსტატმა ბევრი მრავალფეროვანი ტილო შექმნა, რომლებიც გადმოცემულია სამყაროს ფაქიზი, ღრმად ინდივიდუალური ალიქმა. მეოცე საუკუნეს იგი დასრულებულ, თვითმყოფად მხატვრად მოვლენია, ერთმა პირველთაგანმა უმღერა თავისი ფუნჯით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, საქართველოში სოციალიზმის შენებასა და გამარჯვებას, ახალი ცხოვრების მშენებლებს.

გამოფენაზე მ. თოიძის უზარმაზარი მემკვიდრეობის მხოლოდ ნაწილი — ოთხმოცამდე ნამუშევარია ექსპონირებული. წარმოდგენილ ტილოების ძირითადი თემაა საქართველოს ულამაზესი პეიზაჟები, უძველესი ძეგლები, მუშაობა და მიწათმოქმედის შრომა, გამოფენილ ნამუშევრებს ერთიანად მხატვრის იმ მრავალმხრივ თავისებურ სამყაროში შევყავართ, სადაც ყველაფერი ადამიანის სიყვარულით, სიკეთისაკენ ლტოლვით სუნთქავს.

მშვენიერია მხატვრის პორტრეტების სერია. გამოფენაზე წარმოდგენილია „მოხუცი მუშა", „ხელოსანი", „ა. თოიძე ეკატერინეს როლში" და სხვა. მთელი რიგი ტილოები ისტორიულ თემას ეძღვნება, მაგალითად „მეფე ერეკლე II ხელს აწერს ტრაქტატს", აღბეჭდილია საქართველოს რუსეთთან შეერთების უმნიშვნელოვანესი ეტაპი. მხატვრის მდიდარი წარმოსახვით არის შთაგონებული სურათები „მთვარიანი ღამე", „შოთა რუსთაველი იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან".

გამოფენაზე, რომელიც მოაწყვეს რესპუბლიკის კულტურისა და ფინანსთა სამინისტროებმა, მხატვართა კავშირმა და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა, გამოვიდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. გურაბანძიე, ხელოვნების მუზეუმის დირექტორი თ. სანიკიძე, გამომცემლობა „ხელოვნების" დირექტორი ო. ეგაძე.

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. თოიძემ მადლობა გადაუხადა შეკრებილთ მისი მამის — მხატვრისა და პედაგოგის შემოქმედებისადმი ყურადღების გამო.

ვერნისაჟს ესწრებოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია. (საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ" სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ

„სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ" სსრ კავშირის კანონის მიღების გამო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. სანამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად დაადგენდეს ფულადი დარიცხვის საფუძვლებს, ოდენობას და წესს, გამოიყენება „სახალხო კონტროლის კომიტეტების მიერ ფულადი დარიცხვის წარმოების წესები", რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 აგვისტოს № 612 დადგენილებით.

2. კანონის 24-ე მუხლის მესამე ნაწილის წესი ვრცელდება აგრეთვე სახალხო კონტროლის კომიტეტების მიერ დადებულ სახდელზე კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე.

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეუსაბამოს სსრ კავშირის კანონმდებლობა სსრ კავშირის კანონს „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ".

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეუსაბამოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი სსრ კავშირის კანონს „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ", და 1980 წლის 1 ივნისიდან განიხილოს სსრ კავშირის თავდაცვითს მრეწველობასა და შეიარაღებულ ძალებში სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის განხორციელების წესი.

5. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს შეუსაბამონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა სსრ კავშირის კანონს „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ".

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის 1965 წლის 9 დეკემბრის კანონი „სსრ კავშირის სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1965 წელი, № 49, მუხ. 718).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 30 ნოემბერი.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის საერთო კრება

30 ნოემბერს კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის საერთო კრება, რომელზეც მოისმინეს სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაციის ხელმძღვანელის ვ. პ. რუბენის მოხსენება საპარლამენტთაშორისო კავშირის 66-ე კონფერენციისა და მისი სხვა ორგანოების სხდომათა შედეგების შესახებ (კარაკასი, 1979 წლის 11-22 სექტემბერი). სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის წევრებმა მოიწონეს კონფერენციებზე დელეგაციის მუშაობა.

სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მუშაობის პერიოდში გაიმართა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მთელი რიგი სექციების სხდომები. საბჭოთა კავშირ-ავსტრიის, საბჭოთა კავშირ-ინგლისის, საბჭოთა კავშირ-არაბეთის, საბჭოთა კავშირ-ლათინური ამერიკის, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირ-იაპონიის სექციების სხდომათა მონაწილეებმა განიხილეს საზღვარგარეთის შესაბამის სახელმწიფოებთან სსრ კავშირის ურთიერთობის, საზღვარგარეთის პარლამენტებისა და საპარლამენტო ჯგუფების მეგობრობის სექციებთან სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის სექციათა შემდგომი კავშირურთიერთობის განვითარების ზოგიერთი საკითხი. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის სექციის სხდომაზე გამოვიდა საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ა. ფირმან-მირისი. (საკდესი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოში, როცა მთელი ხალხის ინტერესია და ნებას გამოხატავს, კონტროლის უფლება ეკუთვნის თვით ხალხს როგორც თავისი ქვეყნის ერთადერთ ბატონ-პატრონს. სახალხო კონტროლი, რომელიც სამეურნეო ცხოვრებასა და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაზე, ...ოებისა და განაწილების დაგეგმვაზე, სახელმწიფო აპარატის საქმიანობაზე ვრცელდება, დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს საბჭოთა სოციალისტური საერთოსახალხო სახელმწიფოს ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებაში.

სახალხო კონტროლის ორგანოები თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობიან საბჭოთა ადამიანების ინიციატივასა და სოციალისტურ შეგნებულობას. მათს მთავარ ძალას წარმოადგენენ მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურენი, რომლებიც მონაწილეობენ სახალხო კონტროლის ჯგუფების, საგუშაგოებისა და კომიტეტების მუშაობაში, იღებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შემდგომი განვითარება გულისხმობს სახალხო კონტროლის გაძლიერებას, რომელიც სოციალისტური დემოკრატიის ერთ-ერთი ფორმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში ხალხის მასების ჩაბმის ქმედითი საშუალებაა.

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სახალხო კონტროლი სსრ კავშირში სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის შესახებ

სსრ კავშირში სახალხო კონტროლი სახელმწიფო კონტროლს ეხმარება მშრომელთა საზოგადოებრივ კონტროლს საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

სახალხო კონტროლს ახორციელებენ სახალხო კონტროლის ორგანოები, რომლებსაც ქმნიან სახალხო დეპუტატთა საბჭოები ან ირჩევენ შრომითი კოლექტივები.

სახალხო კონტროლის კომიტეტების შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკები, სახალხო კონტროლის ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები და აქტივისტები.

სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობა ხორციელდება სოციალისტური კონტროლის ლენინური პრინციპების საფუძველზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციების, ამ კანონისა და სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის სხვა აქტების შესაბამისად.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა სახალხო კონტროლის შესახებ

სსრ კავშირის კანონმდებლობა სახალხო კონტროლის შესახებ შედგება ამ კანონისაგან, რომლიც სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს სახალხო კონტროლის ორგანოების ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს, და სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან.

მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით წყდება საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო კონტროლის ორგანოების ორგანიზაციასა და საქმიანობასთან, და მის განმგებლობას მიკუთვნებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით, მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციით, სსრ კავშირის კანონმდებლობის აქტებით.

მუხლი 3. სახალხო კონტროლის ორგანოების ძირითადი ამოცანები და საქმიანობის მიმართულებანი

სახალხო კონტროლის ორგანოები მოწოდებული არიან სისტემატურად შეამოწმონ პარტიის დირექტივების, საბჭოთა კანონებისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულება, მტკიცედ იბრძოლონ ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ვნებს სახელმწიფოს ინტერესებს, ხელი შეუწყონ მოქალაქეებისათვის მთელი საზოგადოების საქმეთა გამო პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას.

სახალხო კონტროლის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ საქმიანობას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1) კონტროლს უწევენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების და საგეგმო დავალებების შესრულებას;

2) ავლენენ სახალხო მეურნეობის რეზერვებს, იღვწიან, რათა სრულად გამოიყენონ ისინი, ამაღლდეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი, დაინერგოს წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, მოწინავე გამოცდილება, მომპირნდე გამოიყენონ წარმოთი, მატერიალური რესურსები და ფულადი სახსრები, რაციონალურად მოიხმარონ და უკეთ დაიცვან ბუნებრივი რესურსები;

3) ეწევიან ბრძოლას სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების, კუთხურობის გამოვლინებების, საქმისადმი უწყებრივი მიდგომის, უყაირათობისა და მფლანგველობის, საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის, სახელმწიფოს მოტყუების ყოველგვარი ცდის, სოციალისტური საკუთრების ხელყოფის წინააღმდეგ;

4) ხელს უწყობენ სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფას, შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების გაუმჯობესებას, ამოწმებენ საუწყებო კონტროლის დაყენების საქმეს, იბრძვიან მისი ქმედითობის ამაღლებისათვის;

5) ახორციელებენ კონტროლს იმისადმი, თუ როგორ იცავენ თანამდებობის პირნი საბჭოთა კანონებს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებების, საჩივრების განხილვისას, აწყობენ ამ მუშაობის მდგომარეობის შემოწმებას სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებში, უწყებებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, აგრეთვე კოლმეურნეობებში, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

მთელი თავიანთი საქმიანობით სახალხო კონტროლის ორგანოები ხელს უნდა უწყობდნენ საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, სამინისტროთა, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მუშაობის გაუმჯობესებას, მათი მუშაკების აღზრდას სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით, თავიდან აიცილებინონ თანამდებობის პირებს შეცდომები და ხარვეზები მუშაობაში, იბრძოლონ გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

იმ პირებზე, ვისაც ბრალი მიუძღვით დამშვებულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებში, სახალხო კონტროლის ორგანოები ზემოქმედებას ახდენენ როგორც ამხანაგური კრიტიკის, მათი არასწორი მოქმედების განხილვის გზით, ისე ამ კანონის შესაბამისად მათი პასუხისგებაში მიცემის მეშვეობით.

მუხლი 4. სოციალისტური კანონიერების დაცვა სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობაში

სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობა დაფუძნებულია სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვაზე. იგი ხელს უწყობს მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებების და თავისუფლებების დაცვას.

(დასასრული მე-2 გვ.).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ

(დასასრული)

მუხლი 5. დემოკრატიული ცენტრალიზმი სახალხო კონტროლის ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპია.

სახალხო კონტროლის ორგანოების ორგანიზაცია და საქმიანობა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის შესაბამისად წარიმართება, სახალხო კონტროლის ყველა ორგანოს ქმნიან სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები ან ირჩევენ შრომითი კოლექტივები; სახალხო კონტროლის ორგანოები რეგულარულად ანგარიშს აბარებენ ანგარიშს საბჭოებსა და შრომითს კოლექტივებს, აგრეთვე სახალხო კონტროლის ზემდგომ ორგანოებს; სახალხო კონტროლის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებანი სავალდებულოა ქვემდგომი ორგანოებისათვის; სახალხო კონტროლის ზემდგომი ორგანოების ხელმძღვანელობა ეხამება ადგილობრივი სახალხო კონტროლის ორგანოების ინიციატივას და შემოქმედებითს აქტიურობას, დაცილებული ამოცანების შესრულებისათვის თითოეული მათგანის პასუხისმგებლობას.

მუხლი 6. კოლექტიურობა სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში

სახალხო კონტროლის ორგანოები მუშაობენ კოლექტიურობის საფუძველზე, რაც გამოიხატება კონტროლის საქმეში მშრომელთა ფართო ჩაბმით, შემოწმებათა შედეგების განხილვის, ნაკლოვანებათა თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ღონისძიებათა განსაზღვრის, ნაკლოვანებებისა თუ დარღვევების დამშვებ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის კოლეგიურობით.

მუხლი 7. სახალხო კონტროლის საჯაროობა

სახალხო კონტროლის საჯაროობა მისი ქმედითობის უცილობელი პირობაა. სახალხო კონტროლის ორგანოები შემოწმებათა შედეგებს და მათ გამო გამოტანილ ღონისძიებებს აცნობენ შრომითს კოლექტივებს, სისტემატურად აწვდიან მოსახლეობას ინფორმაციას თავიანთი მუშაობის შესახებ კრებებზე, პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით.

მუხლი 8. სახალხო კონტროლის ორგანოების თანამოქმედება სახალხო დეპუტატთა საბჭოების კომისიებსა და სახელმწიფო ორგანოებთან

სახალხო კონტროლის ორგანოები თავიანთ მუშაობას წარმართავენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივ და სხვა კომისიებთან თანამშრომლებით.

სახალხო კონტროლის ორგანოებს დაკისრებული ამოცანების განხორციელებისას კავშირი აქვს დამყარებული შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან.

მუხლი 9. სახალხო კონტროლის ორგანოების ურთიერთობა პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებთან და სასამართლოებთან

სახალხო კონტროლის ორგანოები სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევებს ებრძვიან პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებთან და სასამართლოებთან კონტაქტით.

სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობა არ ვრცელდება სასამართლოებისა და პროკურატურის ორგანოების, აგრეთვე შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მუშაობაზე, რომლებიც დაკავშირებულია მართლმსაჯულების აღსრულებასთან, სპეციალურო-რო ზედამხედველობის განხორციელებასთან, მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების წარმოებასთან, სამეურნეო დავის გადაწყვეტასთან.

მუხლი 10. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობაში

პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობენ როგორც ამ ორგანოებში თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, ისე კონტროლის განსახორციელებლად მათთან ერთობლივი მოქმედების გზით.

II. სახალხო კონტროლის ორგანოების სისტემა, შექმნის წესი და უფლებები

მუხლი 11. სახალხო კონტროლის ორგანოების სისტემა სსრ კავშირში

სახალხო კონტროლის ორგანოები — სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კონტროლის კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კონტროლის კომიტეტები, სახალხო კონტროლის სამმართველო, საოლქო კომიტეტები, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო კონტროლის კომიტეტები, რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული სახალხო კონტროლის კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოთან არსებული სახალხო კონტროლის ჯგუფები, სახალხო კონტროლის კომიტეტები, ჯგუფები და საგუშაგოები საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, ჯარის ნაწილებში — შედგენენ სსრ კავშირში სახალხო კონტროლის ორგანოების ერთიანს სისტემას.

მუხლი 12. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს ქმნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ხუთი წლის ვადით კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და კომიტეტის წევრების შემადგენლობით. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე შედის სსრ კავშირის უმაღლესის მთავრობის შემადგენლობაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებები საჭიროების შემთხვევებში შეაქვს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი თავის საქმიანობას ანგარიშს აბარებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კონტროლის ხელმძღვანელობით.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი უფლებამოსილების პერიოდში სულ ცოტა ერთხელ მაინც წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს.

მუხლი 13. მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კონტროლის კომიტეტები

მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს ქმნის მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ხუთი წლის ვადით თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და კომიტეტის წევრების შემადგენლობით. მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე შედის მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობაში. მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებები საჭიროების შემთხვევებში შეაქვს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი თავის საქმიანობას ანგარიშს აბარებს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის ხელმძღვანელობით.

მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი უფლებამოსილების პერიოდში სულ ცოტა ერთჯერ წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს და სისტემატურად მოახსენებს საქმიანობის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სფეროს და სახელმწიფო მმართველობის სხვა სფეროებში კონტროლის განსახორციელებლად სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი ქმნის სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში, აგრეთვე საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებსა და სამმართველოებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, ჯარის ნაწილებში, ინსტიტუტებსა და სხვა ორგანიზაციებში, ასევე ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო კონტროლის კომიტეტებში, ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო კონტროლის კომიტეტებში, რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული სახალხო კონტროლის კომიტეტებში, ასევე ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს შემოწმებათა შედეგების საფუძველზე, საკითხთა ხასიათის გათვალისწინებით წინადადებანი და წარდგენანი შეაქვს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, აგრეთვე მათი შემქმნელი სახალხო დეპუტატთა საბჭოების და სახალხო დეპუტატთა ქვემდგომი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებსა და სამმართველოებში.

მუხლი 14. ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კონტროლის კომიტეტები.

ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს ქმნის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ხუთი წლის ვადით კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების და კომიტეტის წევრთა შემადგენლობით. ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე შედის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობაში. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებები საჭიროების შემთხვევებში შეაქვს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემდგომი წარდგენის პირობით.

ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი თავის საქმიანობას ანგარიშვალდებულია ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტების ხელმძღვანელობით.

ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი უფლებამოსილების პერიოდში სულ ცოტა ერთხელ მაინც წარუდგენს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ანგარიშს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს და სისტემატურად მოახსენებს საქმიანობის შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სფეროსა და სახელმწიფო მმართველობის სხვა სფეროებში კონტროლის განსახორციელებლად ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაობას წარმართავს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი სისტემატურად მოახსენებს თავისი საქმიანობის შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი ხელმძღვანელობს სახალხო კონტროლის ქვემდგომი ორგანოების მუშაობას და სახალხო კონტროლის ორგანოებზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ახორციელებს კონტროლს ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებსა და სამმართველოებში, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს შემოწმებათა შედეგების საფუძველზე წინადადებანი და წარდგენანი შეაქვს შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ან ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდიუმში, აყენებს საჭიროების შემთხვევაში მოკავშირე რესპუბლიკის ან სსრ კავშირის მინისტრობების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების წინაშე საკითხებს, რომლებიც მათს გადაწყვეტას მოითხოვენ.

მუხლი 15. სახალხო კონტროლის სამხარეო, საოლქო კომიტეტები, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო კონტროლის კომიტეტები, რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული სახალხო კონტროლის კომიტეტები.

სახალხო კონტროლის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო კონტროლის კომიტეტებს, სახალხო კონტროლის რაიონულ, საქალაქო, ქალაქების რაიონულ კომიტეტებს ქმნიან სახალხო დეპუტატთა საბჭოები ორ წელიწად-ნახევრის ვადით თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და კომიტეტის წევრთა შემადგენლობით.

ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი სახალხო კონტროლის კომიტეტები ანგარიშვალდებულნი არიან მათი შემქმნელი სახალხო დეპუტატთა საბჭოს წინაშე, მუშაობენ ამ საბჭოს ხელმძღვანელობით და მათი კომპეტენციის განსაზღვრელი კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე სახალხო კონტროლის ზემდგომი კომიტეტების ხელმძღვანელობით.

სახალხო კონტროლის სამხარეო, საოლქო კომიტეტები, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო კონტროლის კომიტეტები, რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული სახალხო კონტროლის კომიტეტები ხელმძღვანელობენ ქვემდგომი ორგანოების მუშაობას, ამოწმებენ მათ საქმიანობას, ადგენენ ანგარიშებს, ამზადებენ დასკვნებს, ასრულებენ ამ ორგანოებზე დაკისრებული ამოცანებიდან მათ ხელმძღვანელობას ექვემდებარებული ორგანოებისა და ორგანიზაციებისა.

მუხლი 16. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოთან არსებული სახალხო კონტროლის ჯგუფი

სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოსთან არსებული სახალხო კონტროლის ჯგუფს ორ წელიწად-ნახევრის ვადით ქმნის სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭო ამ საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთაგან.

სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოსთან არსებული სახალხო კონტროლის ჯგუფი ანგარიშვალდებულია მისი შემქმნელი საბჭოს წინაშე, ხელმძღვანელობს ამ საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე სახალხო კონტროლის ზემდგომი კომიტეტის მითითებებით.

სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოსთან არსებული სახალხო კონტროლის ჯგუფი ახორციელებს კონტროლს საბჭოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, მასთან ხელმძღვანელობს სახალხო კონტროლის ორგანოებზე დაკისრებული ამოცანებით, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს საბჭოს ან აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად საკითხები, რომლებიც მათ გადაწყვეტას მოითხოვენ. იგი კოორდინირებულად წარმართავს თავის მუშაობას საბჭოს ტერიტორიაზე მდებარე საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებებსა და ორგანიზაციების სახალხო კონტროლის ჯგუფების საქმიანობასთან.

მუხლი 17. სახალხო კონტროლის კომიტეტები, ჯგუფები და საგუშაგოები საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის სახალხო კონტროლის ჯგუფს ირჩევენ შრომითი კოლექტივის კრებაზე, ხოლო იქ, სადაც წარმოების პირობების გამო საერთო კრების ვერ მოიწვევენ, — კოლექტივის წარმომადგენელთა კონფერენციაზე, კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებაზე. ასეთივე წესით ირჩევენ შრომითი კოლექტივები სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებს საამქროებში, უბნებზე, ბრიგადებში, განყოფილებებსა და საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის სხვა ქვეგანყოფილებებში, ორი-სამი წლის ვადით.

საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში, დიდ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის ნებართვით შეიძლება ჯგუფის ნაცვლად არჩეულ იქნას სახალხო კონტროლის კომიტეტი თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების შემადგენლობით, რომელსაც შემდეგ დაამტკიცებს რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭო. გაერთიანების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სახალხო კონტროლის კომიტეტი თავისი ამოცანების განხორციელებასა გაერთიანების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ფარგლებში სარგებლობს სახალხო კონტროლის რაიონული (საქალაქო) კომიტეტის უფლებებით.

საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახალხო კონტროლის კომიტეტები ანგარიშვალდებულნი არიან მათი ამრჩევი კოლექტივების წინაშე, ასრულებენ მათს დავალებებს, ხელმძღვანელობენ სახალხო კონტროლის ზემდგომი ორგანოების მითითებებით, წარმართავენ სტრუქტურულ ქვეგანაყოფებში შექმნილი ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობას.

მუხლი 18. სახალხო კონტროლიორი

საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახალხო კონტროლის კომიტეტებში, ჯგუფებსა და საგუშაგოებში ირჩევენ, ხოლო სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოთან არსებულ სახალხო კონტროლის ჯგუფებში ასახელებენ ყველაზე აქტიურ და ავტორიტეტან შუამავალ, ავტორიტეტულ, ფაქიზ, ობიექტურ, პრინციპულ, ობიექტურ, ობიექტურ, ობიექტურ

მსახიობები, როლები, სპექტაკლები



კოტე მარჯანიშვილი

ხვალ, 8 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დაარსების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, მისი სახელოვანი დამაარსებლის უკანასკნელი თეატრალური სიყვარულია.

მარჯანიშვილი თავისი დაუცხრომელი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე არაერთი სიახლის წამოწყების, თეატრალური ახალსახლობის მოთავე ყოფილა; ამიტომ საკვლევით შესაძლებელი იყო, რუსეთის მრავალი ქალაქის თეატრს მისი სახელი ეტარებინა. მაგრამ ბედმა ასე ისურვა — სამშობლოში, მის შუაგულში — ქუთაისში, მამა-პაპათა ნაფუძვარზე შეექმნა კიდევ ერთი თეატრი, რომელსაც დაანათლა თავისი ნიჭის ყველა სიკეთე, თეატრალურ ინტერესთა მრავალფეროვნება.

ეს ნიჭი გამოიწრთო ეპოქალურ ქარტეხილებში, საკუთარი გზის შენარჩუნების რთულ პროცესში, ათას „იზზთან“ ჭიდილში, მათი მიღება-უარყოფისა და საკუთარის, თავისთავადის დამკვიდრება-განმტკიცებაში.

კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობის მაგნიტური ველი იზიდავდა ხელოვნების ყველა დარგის, ყველა სახეობის წარმომადგენლებს, საერთოდ ყველა ნიჭიერ ადამიანს, ვინაიდან მას ჰქონდა იშვიათი ალღო პიროვნულიმმჩენისა და უნარი დამრიგებლისა. ამიტომაც მისმა ნიჭმა მოიძია ისეთი ტალანტები, რომლთაც თავის მხრივ დრომ დააკისრა ახალ-ახალ საქმეთა თავკაცობა — მხატვრები, თეატრისა და კინოს რეჟისორები, კომპოზიტორები, მწერლები, კრიტიკოსები: ნ. რერიხი, ე. სომოვი, ი. გამრეკელი, კ. ოცხელი, ე. ახვლედიანი, ლ. გუდიაშვილი, ა. ტაიროვი, ა. ახმეტელი, გ. კოზინცევი, ს. იუტკევიჩი, ე. ვიშნევსკი, პ. კაკაბაძე, კ. კალაძე, ი. ერენბურგი, გ. კრიჟიცკი, ბ. ჟღენტი, და დრამის, კინოსა თუ მუსიკალური თეატრების მსახიობთა მთელი პლეადა რუსეთსა თუ საქართველოში.

კოტე მარჯანიშვილის, როგორც ხელოვანის თავისებური თავისებურება იყო ეროვნული თავისთავადობა; ეროვნული ტრადიციების შეიდგია მისი მისწრაფება, მისი ლტოლვა დღესასწაულებრივი, ზეიმური, სიხარულის მომგვრელი თეატრისადმი.

დიდმა რეჟისორმა მოღვაწეობის მთელ მანძილზე უხვად გასცა თავისი მშფოთვარე სულის ნაწილი და, ბოლოს, მისი სახელობის თეატრს მყარი საძირკველი ჩაუყარა.

დღეს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, რომლის ისტორია 50 თეატრალურ სეზონს მითვლის, ჩვენი ქვეყნის შემოქმედებითი ცხოვრების ფორპოსტზე იღვწის.

კოტე მარჯანიშვილის თეატრი ხალხის საყვარელი თეატრია, რაც მისი დემოკრატიულობით, ხალხურობით და ცხოვრების შუაგულში დგომით აიხსნება.

იმთავითვე ფართოდ გაუღო თეატრმა კარი თანამედროვე დრამატურგიას, არ მორიდებიან ერთგვარ კომპრომისსაც, მაგრამ ასეთი დათმობაც ხელს უწყობდა ახალი ქართული პიესის დაბადებას. კოტე მარჯანიშვილს მტკიცედ სწამდა, რომ თანამედროვე თეატრი ვერ იარსებებს თანამედროვე, ეროვნული დრამატურგიის გარეშე.

ტრადიციის ერთგულება

კოტე მარჯანიშვილმა მყარი საფუძველი ჩაუყარა ქართული საბჭოთა თეატრის მომავალს. მისმა მოწაფეებმა უშანგი ჩხეიძემ, შალვა ღამბაშიძემ, დოდო ანთაძემ, აკაკი კვანტალიანმა, ვერიკო ანჯაფარიძემ, გიორგი შავგულიძემ, ცეცილია წუწუნავამ, ვასო გოძიაშვილმა, სანდრო ყორყოლიანმა, პეტრ კობახიძემ, სერგო ზაქარიაძემ, სესილია თაყაიშვილმა ითავეს მასწავლებლის თეატრალური ანდერძის ერთგულება და სახელოვანი მონაპოვრის განმტკიცება მარჯანიშვილის მიერ შექმნილ მეორე ქართულ თეატრში.

იშვიათია თეატრალური კოლექტივი, სადაც ერთიდროულად თავი მოეყაროს ასეთი განსხვავებული ინდივიდუალობისა და გამორჩეული ტალანტის მსახიობებს, რომელთა შემოქმედების შეფასებისას, მხოლოდ აღფრთოვანების გამომხატველი სიტყვები შეგიძლია იხმარო.

...უშანგის ჰამლეტი თუ ყვარყვარე, ვერიკოს ივდითი თუ ბებია ეუხენა, ღამბაშიძის გოროდნიჩი და ანთიმოზი, ცეცილია წუწუნავას ლირსა და დარეჯანი, შავგულიძის ხარიტონი და საიათნოვა, სერგო ზაქარიაძის თინიბეგი და გიორგი ჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილის ლუარსაბი და ავეტიკა, სესილია თაყაიშვილის ელისაბედ დედოფალი და ბებია და კიდევ მრავალი სხვა, მართლაც რომ, სახეთა მთელი გალერეაა, რომელშიც განცხადებულია ქართული სამსახიობო ხელოვნების შესაძლებლობებიც, პრობლემატიკაც და ნიჭის ელვარებაც.

ყველა, ვისაც კი უყვარს თეატრი, გაახარა ვერიკო ანჯაფარიძისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებამ. ეს ქართული აქტიორული სკოლის დიდი აღიარებაა.

ბევრი ნათელი დღე დაუდგა დღიდან შექმნისა კოტე მარჯანიშვილის თეატრს, როდესაც გამარჯვებით გვირგვინდებოდა ესა თუ ის ჩანაფიქრი და, რაც მთავარია, არასოდეს არ მოჰკლებია მაყურებლის სიყვარული და ინტერესი.

კ. მარჯანიშვილის ნაკვალევზე გაიარეს რეჟისორებმა: ვ. კოშიტაშვილმა, ა. ჩხარტიშვილმა, გ. ციურელმა, ვ. ტაბლიაშვილმა, ა. თაყაიშვილმა, ლ. იოსელიანმა, დ. ალექსიძემ, ი. კაკულიამ...









თეატრი ვერ იქნებოდა სიცოცხლისუნარიანი, განახლების პოტენციალი რომ არ გააჩნდეს, სანამ ლოვან უფროს თაობას მაყურებელ საშუალო, — დღეს უკვე ძირითადი ბირთვი თეატრისა, სარეპერტუარო ტვირთიც დღეს მის მხრებზე გადადის; დღევანდელი თეატრის დონეც, სახელიც, ინტერესთა მრავალფეროვნება ამ თაობის ღვაწლი და საზრუნავია. ამ თაობის წარმომადგენელია რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე, რომელიც მრავალი წელია თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებას წარმართავს, აქტიურად ეხმაურება ჩვენი დროის სადღეისო პრობლემებს, თანამედროვე თემა მისი შემოქმედების ქვაკუთხედია.

კოტე მარჯანიშვილმა თავისი პირმშო იმთავითვე გააცნო მოსკოვისა და ხარკოვის მაყურებელს. აბალგაზრდა თეატრს ა. ლუნაჩარსკიმ დაულოცა დიდი ხელოვნების გზა. შემდგომ მრავალგზის ჩასულა თეატრი მოსკოვსა თუ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში „მცირე“ თუ „დიდი“ გასტროლებით. ჩვენი ქვეყნის თეატრალური საზოგადოებრიობა იცნობს მარჯანიშვილელთა ყველა თაობას და ამასწინანდელმა გასტროლებმაც მოსკოვში წარმატებით ჩაიარა.

ამჟერად თეატრი ემზადება მომავალი წლის შემოდგომაზე საბერძნეთში საგასტროლოდ.

მიმქრალი ათწლეულის განმავლობაში თეატრი თავის იუბილეს ხვდება მკერდგამშვენებული, „აკადემიურის“ წოდებით და ამის ღირსი შეგნებით, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რომ დღევანდელი მიღწევები უკვე ისტორიის კუთვნილებაა და მხოლოდ საწინდარია მომავალი აქტიური, მრავალფეროვანი შემოქმედებითი ცხოვრებისა.

ოთარ თაქთაქიშვილი,
საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

შემართება არასოდეს მოგვკლეს-ბოდეს!

კოტე მარჯანიშვილმა რომ ახალი თეატრი შექმნა, ამის კარგი საფუძველი უკვე იყო საქართველოში. იქ, სადაც ნატო ბაბუნია, ტასო აბაშიძე, ნუცა ჩხეიძე, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი და სხვები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, არ შეიძლებოდა საქმის გამგრძელებელნიც არ ყოფილიყვნენ. მარჯანიშვილის მოსვლამ კი მაქსიმალურად გამოავლინა მათი ნიჭი. და იმდენი გამობრწყინდა ერთდროულად, რომ ერთ თეატრში ვერც დაეტევნენ, ორი საოცარი, ერთმანეთის მჯობნი, სრულიად განსხვავებული თეატრი შეიქმნა ერთ ქალაქში.

იქით გენიალური სანდრო ახმეტელი, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, თამარ ჭავჭავაძე... აქეთ მარჯანიშვილი, ცეცხლოვანი უშანგი, უსაზღვრო მომხიბვლელობა ვერიკო ანჯაფარიძისა, ხასიათის გრძნობა, გარდასახვის გასაოცარი უნარი, დაუშრეტელი ფანტაზია ვასო გოძიაშვილისა, ფორმის ჯადოქარი, ლაზათიანი, დარდიმანდი გიორგი შავგულიძე, სიდარბაისლის, სიკეთის განსახიერება, თავად სიმართლე — შალვა ღამბაშიძე, საოცარი იუმორი და სიხალისე აკაკი კვანტალიანის და სანდრო ყორყოლიანისა, მრავალმხრივი, არა, ყოველმხრივი სერგო ზაქარიაძე... საყვარელი პიერ კობახიძე, ალექსანდრე ომიაძე, ძია შაშო და შაქრო გომელაურები... რომელი ერთი ჩამოვთვალო!

და ჩვენი სიამაყე — ქალბატონი სესილია თაყაიშვილი!

თეატრი ყოველთვის იყო და იქნება — აქტიორი უპირველეს ყოვლისა. ამ პრინციპისათვის არასოდეს უღალატია ჩვენს თეატრს. იგი დიდ მსახიობთა სიმრავლით იყო ყოველთვის გამორჩეული.

ორმოცდაათი წელი... თითქოს არც ისე ბევრია, მაგრამ თაობები შედარებით სწრაფად იცვლებიან. იყო უფროსი თაობა, ჩემს თაობასაც მოსდევს ახალგაზრდობა, იცვლება გამოსახვის საშუალებები, მაგრამ ჩვენი თეატრის ძირითადი სახე არასდროს შეიცვლება.

საზეიმო დღე გვაქვს. დღე, რომელიც თანასწორად ეკუთვნის ყველა მარჯანიშვილელს. ვულოცავ ჩემს მეგობრებს საყვარელი თეატრის იუბილეს, შემოქმედებითი ცეცხლი და შემართება არასოდეს მოგვკლებოდეს.

ვულოცავ ჩვენს სოციალისტური შრომის გმირს, ყველასათვის ძვირფას ვერიკოს უმაღლეს ჯილდოს, თავკაცს ჩვენი თეატრისას — გიგა ლორთქიფანიძეს — სსრ კავშირის სახალხო არტისტს ნოდებას! ეს ორი სასიამოვნო ფაქტი ხომ მთელი ქართული თეატრის დაფასებაა.

მჯერა, რომ მარჯანიშვილის თეატრს კვლავაც ეყოლება დედათა და მამათა ასეთი თაობები, რომელნიც ტრადიციასაც არ დაარღვევენ და დღევანდელობის მძაფრი გრძნობაც ექნებათ.

ოთარ მელვინეთუხუცესი,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ბრალი

ბრალი ლორთქიფანიძემ შექმნა რთული და საინტერესო ადამიანებით დასახლებული ახალი მხატვრული თეატრალური სამყარო. ეს არის დიდი ცხოვრება: მაღალზეობრივთა და უზნეოთა, კეთილთა და ბოროტთა, ათას სოციალურ დინებათა ერთობლიობისა. რეჟისორი მძაფრად და გზნებით ხატავს მას, იძლევა ცხოვრების გაუმჯობესების იმედებს. ნათელ საწყისის განდიდებით აპოეტურებს პროზაულ სინამდვილეს, ქმნის სახეთა და განწყობილებათა მრავალფეროვნებას. მისი სპექტაკლების გმირები სისხლსავსე ადამიანები არიან, რომელთა ინდივიდუალობაც ერთობ საშური სიღრმით არის გამოხატული. ვის არ შეხვდებით გ. ლორთქიფანიძის სპექტაკლებში. აქ არიან ქართველი გლეხკაცები და მეომრები, პოეტი მენესტრელი და ტირანი მეფე, რევოლუციური შთაგონების რომანტიკოსები და „ცისფერი სისხლის“ მეოცნებე დეკაბრისტები, ფსკერზე დაძირული ადამიანები, მავანი და მავანნი. მიუხედავად მათი სხვადასხვა ეროვნული თუ სოციალური მდგომარეობისა, ისტორიული თუ თანამედროვე ყოფისა, ყველფერში იგრძნობა ქართული მიწის მადლი, რეჟისორული აზროვნების პირუთვნელი უშუალობა და სინამდვილე.

საუკუნის მეოთხედზე მეტია, რაც გ. ლორთქიფანიძე ქართულ თეატრში ამკვიდრებს რეალისტური სიმართლის, ფსიქოლოგიური სიღრმის თეატრალურ ესთეტიკას, ქანრებისა და თემების მრავალფეროვნებას, ხასიათების ღრმა ინდივიდუალიზებას, გმირთა ყოფითს ცხოვრებასა და მათ სულში „შეფარულ რომანტიკულ“ ნაკადს, „რეალიზმის არხების“ გაფართოების დიდ შესაძლებლობებს. ამას ადასტურებს მისი სპექტაკლები „სირანო დე ბერჟერაკი“ და „ასი წლის შემდეგ“, „კოლხეთის ცისკარი“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „ჯაბადერის ხმალი“, „შთამომავლობა“, „უფსკრულთან“, „სასტუმროს დიასახლისი“, „მარტოობის დღესასწაული“, „თეთრი ბაიადერები“, „ოიდიპოს მეფე“ და სხვ. მაყურებელი ამ წარმოდგენებით გაიხსენებს ქართული თეატრის დიდ შენამატს, გაიხსენებს ბედნიერ წუთებს, რომელიც მან გ. ლორთქიფანიძის სპექტაკლებზე განიცადა. მისი წარმოდგენები ზუსტად ასახავს რეჟისორის ზრდისა და დაოსტატების რთულ პროცესს. ამასთანავე, აქ არის ბევრი მსახიობის მხატვრული ბიოგრაფია, მათი სიხარული და ბედნიერება. ახლა ძნელია ყოველი მთგანის უბრალო დასახელებაც კი. სწორედ გ. ლორთქიფანიძის ხალასი ნიჭის, მისი დაუცხრომელი ენერგიის მადლია, ქართული თეატრი რომ ასე გამდიდრდა ქართული ხასიათებით, უწინარესად წარმოჩნდა თანამედროვე პრობლემები. გ. ლორთქიფანიძემ თეატრში ფართო გზა გაუხსნა ქართულ ორიგინალურ მწერლობას, ახლებურად წაიკითხა ისინი და სცენური სიცოცხლე მიანიჭა. პ. კაკაბაძის „ჯაბადერის ხმალი“ თითქმის ოცდაათი წელი იდო, როგორც საჯილდაო ქვა. გამოჩენილი რეჟისორები უტრიალებდნენ, ეძებდნენ მისი გადაწყვეტის გზებს, მაგრამ ამ დიდი მისიის შესრულება მხოლოდ გ. ლორთქიფანიძეს ხვდა წილად. ეს იყო პ. კაკაბაძის პიესის ახლად დაბადება. ეროვნული ფოლკლორის პოეტიკა, მისი სიბრძნე და მომხიბვლელობა გამოიხატა საოკეანეებამოვლილი ბერიკაობის თეატრალური ფორმებით. სცენური სიმბოლიკა წუთისრფლის ზრუნვის მეტაფორულ სახეში მოექცა, რეჟისორმა უმღერა რწმენით ამაღლებულ ადამიანს, გამოხატა ისტორიის მებრძოლი სული.

ადამიანისადმი რწმენითა და ნდობით არის მოაზრებული გ. ლორთქიფანიძის სხვა სპექტაკლებიც. ასეთად იკითხებოდა „კოლხეთის ცისკარი“ და „ასი წლის შემდეგ“, „სირანო დე ბერჟერაკი“... განსხვავებულია მათი ფორმა და გამოსახვის გზები, მაგრამ საერთოც ბევრი აქვთ.

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობთა გარკვეულ ჯგუფთან ერთად გ. ლორთქიფანიძემ საფუძველი ჩაუყარა რუსთაველის თეატრს. შეიქმნა ახალი დიდი კულტურული ცენტრი, რომელმაც არაერთხელ ასახელა ქართული კულტურა საკავშირო ასპარეზზე. უკვე გამოცდილმა რეჟისორმა თავისი შესაძლებლობის სრულიად ახალი მხარეები გამოავლინა თეატრის წარმოდგენებში („სირანო დე ბერჟერაკი“, „ასი წლის შემდეგ“, „მარტოობის დღესასწაული“), ზუსტად მოძებნა ფართო პოლიტიკური პლატფორმა, რომელსაც გრძნობებისა და აზრების გამძაფრებამდე მიეყვანდით. თავის მხრივ, იგი წილნაყარი გახლდათ რომანტიკულ თეატრალურ ესთეტიკასთან, ასე თანადროულად რომ განცხადდებოდა სცენაზე. რეჟისორმა დაგვანახვა ადამიანისა და მის გარემომცველ სამყაროს შორის წარმოქმნილი ტრაგიკული წინააღმდეგობანი, გვიჩვენა დრამატულ კოლიზიებში გამოტარებული უწმინდესი ზნეობრივი იდეალები, გმირთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა ისტორიის, თავისი ხალხისა და ქვეყნის წინაშე. ეს მაღალი ჰუმანური იდეა მკაფიოს ხდის თეატრის მხატვრულ პოზიციას.

მოგითხრობთ სამხატვრო ხელმძღვანელზე

რეჟისორის აქტიური პოზიცია

გ. ლორთქიფანიძემ ნ. დუმბაძის მოთხრობების საფუძველზე შექმნა სპექტაკლების მთელი ციკლი. თეატრში მან პირველმა იაროვა გულწრფელი მოტივი „ცრემლიანი სიცილით“ გამთბარი ახალი ადამიანებისა. ნ. დუმბაძის გმირების გარეშე ვერც წარმოიდგენთ უკანასკნელი ოცწლეულის ქართულ სცენას. ნ. დუმბაძის გმირების პოეტურ ბუნებას, ჯანსაღ, ცხოვრების სიკეთეზე დაწფიფულ ადამიანებს სცენაზე თითქოს არ განუცდიათ „თეატრალური ფერისცვალება“, მსახიობთა სულში გარდაისახნენ, მაგრამ ბუნებრივად აგრძელებენ ცხოვრებას. რეჟისორმა ადამიანთა სათუთი ურთიერთობის მიღმა დაგვანახვა რთული ცხოვრება თავისი დიდი სიმართლით, მასში არის ღალატიცა და სიყვარულიც, დანდობაცა და დაუნდობლობაც, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც ცხოვრება მოიცავს, მაგრამ რაღაც მეტიც, რომელსაც მხატვრული სინამდვილი ჰქვია.

მოუსვენარი ბუნების შემოქმედია გ. ლორთქიფანიძე. მისი ცხოვრების რიტმი ყოველთვის შემტევია, გრძნობა კი მუდამ დაუოკებელ, პირდაპირი. რეჟისორს არ უყვარს ნეიტრალური ბუნების ნაწარმოებები და თავადაც ყოველთვის აქტიური პოზიცია უჭირავს. კარგად იცნობს სინამდვილეს, რომელსაც იგი ასახავს და ხშირად სოციოლოგიის სიზუსტით გრძნობს მაყურებლისა და თეატრის ურთიერთობის ბუნებას, შეუმცდარად ჭვრეტს სპექტაკლის წარმატებისა თუ წარუმატებლობის საიდუმლოებას. მან იცის, თუ რა აწუხებს, რა აფიქრებს თანამედროვე მაყურებელს, დროის პულსაცია ეხმარება ადვილად ეპოვოს გზა ფართო აუდიტორიისაკენ.

გ. ლორთქიფანიძის რეჟისორული რწმენა, რომ სპექტაკლი იყოს მდიდარი ახალი აქტიორული სახეებით, ცოცხალი ხასიათებით, ემოცია უშუალო, ხოლო აზრი ნათელი და უპრეტენზიო.

გ. ლორთქიფანიძის მუშაობამ „ოიდიპოს მეფეზე“ თეატრში, „დათა თუთაშხიას“ დადგმაზე ქინოში (რეჟისორ -გ. გაბესირიასთან ერთად) ფართო საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია.

ეს თქვა მარჯანიშვილის თეატრის ბოლოდროინდელ გასტროლებზე მოსკოვშიც, სადაც თეატრს დიდი წარმატება ხვდა. ფილმი „დათა თუთაშხია“ ქართული აქტიორული ოსტატობის დიდი გამარჯვებაა და ეს არის რეჟისორის ერთ-ერთი უპირველესი წარმატებაც.

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს გიგა ლორთქიფანიძეს ამ დღეებში საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. რეჟისორის დიდ დამსახურებასთან ერთად, ეს არის მთელი ქართული რეჟისურის წარმატების აღიარებაც. მარჯანიშვილის თეატრის ამ საიუბილეო დღეებში განსაკუთრებით სასიამოვნოა იმის შეგნება და იმედი, რომ გ. ლორთქიფანიძე ახალი შემოქმედებითი წარმატებებით გაამდიდრებს ქართულ საბჭოთა თეატრს.

ვასილ კიკნაძე.

მიესალმებიან, ულოცავენ

ძვირფასო მეგობრებო, დიდად ვწუხვარ, რომ ვერ დავესწრები შუამდინარეთის თეატრის ზეიმს. ვუსურვებ მას მამაჩემის ანდერძის აღსრულებას და ახალ ბრწყინვალე წარმატებებს. აუცილებლად ვუსურვებ თეატრის კოლექტივს. ეისვეკით ძმურად.

კონსტანტინე მარჯანიშვილი.

საბჭოთა კავშირის მცირე თეატრის კოლექტივი მხურვალედ გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო, სახელოვან ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, ახალ შემოქმედებითს წარმატებებს მრავალეროვნული საბჭოთა ხელოვნების საკეთილდღეოდ.

მცირე თეატრის დასის სახელით —
ვიხელ ცარიოვი.

უკრაინის თეატრალური საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით მხურვალედ ულოცავს მარჯანიშვილელთა კოლექტივს 50 წლის შემოქმედებითს მოღვაწეობას.

ძვირფასო მეგობრებო, კოლეგებო, გისურვებთ კაზაკური ჯანმრთელობას და ქართულ დღეგრძელობას და დიდ შემოქმედებითს წარმატებებს მრავალეროვნული საბჭოთა ხელოვნების შემდგომი განვითარების საკეთილდღეოდ.

უკრაინის თეატრალური საზოგადოების
ალექსანდრ ბოგომაზოვი.

გულითადად გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო, თეატრის სახელოვან იუბილეს. თქვენი ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობა — ეს არის განუწყვეტელი შემოქმედებითი ძიება და მიღწევები საბჭოთა თეატრალური ხელოვნების ასაყვავებლად, საბჭოთა ადამიანის საკეთილდღეოდ. უმდაბლეს სალამს გითვლით ამ საზეიმო დღეს ლიტვის კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობის, ჩვენი რესპუბლიკის ყველა თეატრალის სახელით.

ი. ბელინისი,
ლიტვის სსრ კულტურის მინისტრი.

სიტყვა თეატრზე

—არა, გენაცვალე! ჩემი გაჟირვება და დავიდარაბა ისედაც მეყოფა... თეატრში მოსასვლელად თუ მოვიცალე, ის ორი საათი დამასვენე, ამომათქმევინე სული, გამამზიარული, ვამაცინე...

მოდი და ელაპარაკი ამისთანას, შენ! (მერე ცოტანი მაინც იყონ). თურმე მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი, კომპოზიტორი და დრამატურგი იმიტომ ყოფილა მოგონილი, რომ „ეს“ დავასვენოთ, ...ვამეხიარულოთ და ...ვაცინოთ... პურ-ღვინოც ხომ არ ვიქონიოთ? ...ეს და წამოსაწოლიც? როგორ გვირჩევთ?

მართალია, ჭკუათამყოფელი თეატრის მაღალ, ეროვნულ დანიშნულებაზე საუკუნის წინ ქართული თეატრის აღდგენა-განახლების დროსაც არ დავობდა, მაგრამ ბევრს ახლაც რომ თავშესაქცევი ჰგონია, საუბედუროდ ესეც მართალია.

თურმე თეატრში თავისი „გაჟირვება და დავიდარაბა“ კი არ უნდა დახვდეს, უნდა რაღაც სხვა გასართობი და თავშესაქცევი. თურმე სარკეში თავისი ჩამოტირებული ცხვირ-პირის დანახვა კი არ უნდა, არამედ ვიღაც მომღიმარი დარდიმანდისა.

ამაში ალბათ დრამატურგიამაც სცოდა და თეატრმაც, თორემ ამ ცოდვილ „აზრს“ აქამდე არ უნდა ებოგინა.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1910 წელს თეატრის დანიშნულებაზე წერდა: „გვამცნოს ცოცხალი სიტყვა, მკაცრი, მოურიდებელი და შეუბრალებელი, მხილება ჩვენი ნაკლულევანებისა და იყოს იგი, როგორც ლამპარი წყვდიად ღამეში, გზის მაჩვენებლად...“

თეატრი სხვა დიდ სიკეთესთან ერთად ენის შეუდარებელი ქომაგი და დამცველია. წერს მწერალი წიგნს, ამოიღებს მკითხველი სასთუმალთან და გადაავლებს თვალს. პოეზიაც ამ დღეშია, თუ თვითონ ავტორი არ შეხტა სადმე ტრიბუნაზე და ათასიდან ერთი ლექსი არ წაიკადაგა. თეატრს შესწევს უნარი განაცდევინოს სიტყვის მაცოცხლებელი და მომაკვდინებელი ძალა, ენის ჯვარი და სინატიფე, დაგეჩვას, გადინოს სისხლი, დაგიწყლულოს ნაიარევი, მალამოდ დაგედოს და მოგიშუშოს. სიტყვით დაკოდილს თუ ისევ სიტყვა არა, ვერრა მკურნალი ვერ განკურნავს. თეატრში ყველაფერი პირობითია, გარდა სიტყვისა. სცენაზე რომ „ვანოს“ ყოველი ფეხის ნაბიჯს გაფაციცებული შესცქერი, სინამდვილეში ხომ იცი რომ პეტრეა. იცი, მაგრამ სიტყვებია ვანოსი და პეტრე — ვანოა. სცენაზე ხმალი — ყვარისგანაა გამოთლილი, თოფი— ფიცრისგან, დოქიც კი არაა თიხის — მუყაოა. თუ ვიცით, რომ „ვანოს“ პეტრეა, ხმალი — ყვარი, თოფი — ფიცარი და დოქი— მუყაო, მაშინ რა გვაჯერებს და გვარწმუნებს ვანოს და თეკლეს უბედურებაში, რა გვაწუხებს და გვატირებს მათ ბედზე?

სიტყვა!

სიტყვაა თეატრში მიწასავით მართალი, ხმალივით — ელვარე და თოფივით — განმგმირავი. თეატრი თუ ენის შმბელი არაა, მისი უანგარო გამდგელია, ძიძაა, რომელიც თავისი ძუძუთი კვებავს, სარაინდოდ და საჩაჩქოდ ზრდის და უბრუნებს მის შობელ ხალხს. ზოგჯერ რომ მეგონა ერთი და იგივე სიტყვის მრავალი მნიშვნელობის გარდა, მისი ელვარადობა და მუსიკალობაც მესმოდა, სიტყვის ფერი, სუნი და გემოც ვიცოდი, სცენიდან ნაღდი მსახიობის წარმოთქმულ ჩემს ასე ნაცნობ სიტყვას, ახალი არტისტიზმი და ელვარება შეუძენია და გაღრმავებულ-გამდიდრებული დამბრუნებია.

მარჯანიშვილის თეატრს არასოდეს შეშლია თავისი უზარმაზარი როლი. მისმა შემქმნელმა ზედმოწევნით იცოდა რას ქმნიდა და ქედზე რა მძიმე უღელს იდებდა. ამ დიდმა ეროვნულმა მოთხოვნილებამ შექმნა მსახიობთა ის გაწყმენორებელი თვითმყოფადი სახელები, რომლებიც ერთმანეთისაგან ასე, ერთი ფრაზის წარმოთქმისთანავე გაირჩევიან და ჩვენ კი, რომელი უფრო გვიყვარს, ვერ გამოგვირჩევია.

კოტე მარჯანიშვილმა საქართველოს ყველა კუთხეს მიაწვდინა თავისი ყოვლისმძლე მარჯვენა და ისეთი სპექტაკლები დაგვიტოვა, ისეთი მსახიობები „შექმნა“, მუდამ დარჩება გასახსენებლად და თავის მოსაწონებლად კი არა, საზომად და ექვივალენტად.

დღეს თუ გვახარებს ეს იუბილე და ამ თეატრიდან მეტს და მეტს მოვითხოვთ, ვიცით ვისი გორისანი არიან და იმიტომ!

რას იზამ, კარგი მამის შვილობა ძნელია!

ოტია იოსელიანი.

მსახიობები, როლები, სპექტაკლები. ხურათებზე (ზემოდან): ელ. ჩერქეზიშვილი — ხორეშანი („ჩატეხილი ხიდი“); ც. წუწუნავა — ხუსანა („ნინოშვილის გურია“); ვ. ანჯაფარიძე — ივდითი („ურიელ აკოსტა“); ხ. თაყაიშვილი—ბებია („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“); მ. ჯაფარიძე — ლედი ანა („რიჩარდ მესამე“); ვ. გოძიაშვილი — ავეტიკა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“); ა. ომიაძე — თორნიკე („ხარატაანთ კერა“); ვ. კობახიძე — ტუჩა დაშნიანი („კოლხეთის ცისკარი“); ა. კვანტალიანი — გრაფი ალბაფრიტა („სასტუმროს დიასახლისი“);

ქვემოთ: უ. ჩხეიძე — ყვარყვარე („ყვარყვარე თუთაბერი“); ს. ყორყოლიანი — მოსე მწერალი („ნინოშვილის გურია“); შ. ღამბაშიძე — ალბერტ კროლი („ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“); გ. შავგულიძე — ხარიტონი („კოლმეურნის ქორწინება“).





საერთაშორისო ცხოვრება
დელამინის ჟურნალი

პროგლემის სამართლიანი გადაჭრისათვის

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დიდი შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ პალესტინის პრობლემა დღემდე ვერ გადაიჭრა სამართლიანად. როგორც ხაზგასმულია პლენარულ სხდომაზე მიღებულ რეზოლუციაში, ასეთი მდგომარეობა „კვლავ ამწვავებს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტს, რომელიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას". „გენერალური ასამბლეა კვლავ ადასტურებს, რომ მტკიცე მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში ვერ დამყარდება, თუ სამართლიანად არ გადაიჭრა პალესტინის პრობლემა პალესტინელი ხალხის ხელშეუვალი უფლებების, მათ შორის დაბრუნების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის უფლების განხორციელების საფუძველზე"

სხდომის მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს კემპ-დევიდის მორიგება და ისრაელ-ეგვიპტის სეპარატული ხელშეკრულება.

გენერალური ასამბლეა აღნიშნავს, რომ კემპ-დევიდის გარიგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ დაიდო და მასში მონაწილეობა არ მიუღია პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას — პალესტინელი ხალხის წარმომადგენელს, ნათქვამია მეორე რეზოლუციაში, რომელიც ასამბლეამ მიიწონა. დოკუმენტში გამოხატულება პოვა საერთაშორისო საზოგადოებრიობის სამართლიანმა აღშფოთებამ იმ ფაქტის გამო, რომ ამ შეთანხმებებმა უგულებელყვეს პალესტინელი ხალხის ხელშეუვალი უფლებები. შეთანხმებები, აღნიშნულია შემდეგ რეზოლუციაში, „გულისხმობს და ამართლებს პალესტინის ტერიტორიის ოკუპაციას ისრაელის მიერ".

□

პორტუგალიაში არჩევნების წინ

ლისაბონი, 1 დეკემბერი. პორტუგალიაში დამთავრდა არჩევნებისწინა კამპანია საყოველთაო შუალედური არჩევნების წინ, რომელიც 2 დეკემბერს გაიმართება. თუმცა არჩევნებში 10 პოლიტიკური პარტია და კოალიცია მონაწილეობს, ძირითადი ბრძოლა გაჩაღდება სოციალისტურ პარტიას, სოციალ-დემოკრატიულ, სახალხო-მონარქიულ პარტიებსა და სოციალ-დემოკრატიული ცენტრის გაერთიანებულ „ახალი უმრავლესობისათვის მებრძოლ სოციალ-დემოკრატიულ ალიანსს", აგრეთვე ხალხის ერთიანობის კავშირს შორის, რომელიც შედგან პორტუგალიის კომპარტია და პორტუგალიის დემოკრატიული მოძრაობა.

მოლაპარაკება დამთავრდა

თეირანი, 1 დეკემბერი. მეჰბადში დამთავრდა ირანის სახელმწიფო მინისტრის დ. ფორუხარისა და ქურთთა რელიგიურ და პოლიტიკურ მოღვაწეთა მოლაპარაკების მორიგი რაუნდი. გაზეთ „ბამდადისთვის" მიცემულ ინტერვიუში დ. ფორუხარმა განაცხადა, რომ ირანის ქურთისტანში მისი გამგზავრების მიზანი იყო მოემზადებინა მოლაპარაკების დამამთავრებელი რაუნდი ქურთთა პრობლემის საბოლოო გადაწყვეტისათვის და რომ იგი მთლიანად კმაყოფილია მისი შედეგებით.

სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა, რომ მოლაპარაკების შედეგად შეიმუშავებენ კანონპროექტს ირანში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობისათვის თვითმმართველობის მინიჭების შესახებ, რასაც მოჰყვება ხალხთა შორის ჩაგრვისა და უთანასწორობის ლიკვიდაცია.

ირან-ამერიკის ურთიერთობის გამო

თეირანი, 30 ნოემბერი. ირანის დედაქალაქში მძლავრი ანტიამერიკული დემონსტრაციები იმართება. დღეს ამ დემონსტრაციებში მონაწილეობდა მილიონზე მეტი ირანელი. ისინი მოითხოვენ შაჰის გადაცემასა და მის მიერ ნაძარცვი ქონების დაბრუნებას.

„არა გვგონია, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და სხვა ამერიკელი ოფიციალური პირნი ყოფილ შაჰს იმიტომ არ გვიბრუნებენ, თითქოს ჰუმანური მოსაზრება ამოძრავებდეთ, — განაცხადა უცხოელი კორესპონდენტებისათვის მიცემულ ინტერვიუში აიათოლა ხომეინიმ. — ეს მოსაზრებანი ნამდვილად რომ ჰუმანური იყოს, მაშინ არ იტყოდნენ, რომ მზად არიან 35 მილიონ ირანელს თავს დაატეხონ ეკონომიკური ბლოკადა, ამოხოცონ შიმშილით და. ბოლოს, ომი დაიწყონ ირანის წინააღმდეგ".

ხომეინიმ კვლავ გაიმეორა, რომ „თუ შეერთებული შტატები ირანელ ხალხს გადასცემს შაჰს, რომელიც ათეული წლების მანძილზე ძარცვავდა ირანის სიმდიდრეს და ბრალი მიუძღვის ბევრი ირანელის დახოცვაში, მაშინ ირანი გაათავისუფლებს ამერიკელ მძევლებს; თუნდაც ისინი დამნაშავეები იყვნენ". ირანის ლიდერმა წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ დასავლეთის პრესა ყოველგვარ ჭორებს ავრცელებს ირანის რევოლუციის შესახებ.

ვაშინგტონი, 30 ნოემბერი. თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ჯ. პაუელმა განაცხადა: „არ ვაპირებთ ვუთხრათ შაჰს, როდის უნდა წავიდეს, და დაჟინებით არ მოვითხოვთ, რომ წავიდეს, მას უფლება აქვს როცა მოესურვება, მაშინ ჩამოვიდეს და წავიდეს".

იმასთან დაკავშირებით, რომ პრესაში გამოქვეყნდა ცნობები მექსიკაში ირანის ყოფილი შაჰის შესაძლო ჩასვლის შესახებ, ამ ქვეყნის მთავრობამ გამოაცხადა, რომ არ მისცემს მას ჩამოსვლის ნებართვას. „მექსიკის მთავრობა ვერ განუახლებს შაჰს ვიზას, რომლის მოქმედების ვადა 9 დეკემბერს იწურება, — განაცხადა მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხ. კასტანიედამ, — ასე რომ, აზრი არა აქვს მის აქ დაბრუნებას". შაჰისათვის ვიზის მიცემა, ხაზი გაუსვა მინისტრმა, ეწინააღმდეგება მექსიკის ინტერესებს.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" განმარტავს მექსიკის მთავრობის გადაწყვეტილებას, რომელსაც არ ელოდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, და ხაზს უსვამს, რომ „ეს ნაბიჯი მექსიკის პოზიციაში რადიკალურ ცვლილებას წარმოადგენს".

კაირო, 30 ნოემბერი. ეგვიპტის პრეზიდენტის წარმომადგენელმა დღეს განაცხადა, რომ ეგვიპტე მზად არის „ნებისმიერ დროს" მიიღოს ირანის ყოფილი შაჰი. მან თქვა, რომ ეგვიპტის ელჩს ვაშინგტონში მიცემული აქვს ინსტრუქციები შეატყობინოს ეს შაჰს და ამერიკის მთავრობას. სადათის სპეციალური თვითმფრინავი, თქვა მან, მზად არის ნებისმიერ დროს ჩაიყვანოს შაჰი კაიროში.

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ნორფოლკის სამხედრო-საზღვაო ბაზიდან (ვირჯინიის შტატი) ხმელთაშუა ზღვაში გავიდა კიდევ ერთი ავიამზიდი — „ფორრესტოლი", რათა „გაზარდოს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძლიერება ახლო და შუა აღმოსავლეთში".

ისრაელის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. დაიანმა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება, ჩიკაგოში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ისრაელი შეერთებულ შტატებს დაუთმობს თავის სამხედრო-საჰაერო ბაზებსა და სხვა სამხედრო ობიექტებს, თუ ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო აქციას დაიწყებს ირანის წინააღმდეგ.

54 კონგრესმენმა წარმომადგენელთა პალატაში შეიტანა რეზოლუცია, რომელიც შეიცავს მოთხოვნას, რომ პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა დაიწესოს თეირანში დაკავებული ამერიკელი მძევლების განთავისუფლების მტკიცე ვადა, რომლის გასვლის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საომარი მოქმედება უნდა დაიწყოს ირანის წინააღმდეგ.

ინფორმაცია—79

მსჯელობენ პედაგოგები

თელავი. (საკ. კორ. დ. გერგიშვილი). ორ დღეს მასპინძლობდა თელავის განათლების მუშაკთა რაიონული სახლი ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის რაიონების პედაგოგ-მასწავლებლებს, რომლებისთვისაც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინიციატივით აქ გაიმართა მეთოდიკურ-პრაქტიკული კონფერენცია დევიზით: „პარტიის სიტყვა გავაცნოთ თითოეულ მოსწავლეს".

კონფერენციის მონაწილეებმა ინტერესით დაათვალიერეს მათთვის სპეციალურად მოწყობილი თელავის რაიონის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, დაესწრნენ მოსწავლეთა თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტს.

ახალი ჭერის სისარული

გულრიფში. (საკ. კორ. ი. გობეჩია). სოფელ ბაღმარანში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც საშუალო სკოლის ახალი შენობის გახსნას მიეძღვნა, სკოლა აგებულია ტიპობრივი პროექტით და განკუთვნილია 464 მოსწავლისათვის. ახალ ორსართულიან შენობას აქვს ნათელი საკლასო ოთახები, კაბინეტ-ლაბორატორიები, საკრებო დარბაზი.

ბაღმარანელ მოსწავლეთათვის სკოლა აუშენა საქართველოს სსრ საოფლო მშენებლობის სამინისტროს მეშვიდე ტრესტის № 33 მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ.

„ზარია ვოსტოკას" პრიზზე

4 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში სტარტს აიღებს ხელბურთელთა მეცამეტე საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე.

ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში, რომელიც შეტანილია ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურ კალენდარში, რვაჯერ გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა, ორჯერ პრიზი უნგრელმა ხელბურთელებმა მოიპოვეს, თითოჯერ დაუფლნენ მას იუგოსლავიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები.

წლევანდელ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიური ჩემპიონები — იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ხელბურთელები, უნგრეთის გუნდი, სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები და საქართველოს ნაკრები, რომელიც თბილისის „ქარიშხალას" მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული.

ასპარეზობა წრიული სისტემით მოეწყობა.

ტურნირი 8 დეკემბერს დამთავრდება.

საღ, რა, როდის

კალათბურთი. წარმატებით დაიწყო კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა, რომელმაც ნოესვილში (ტენესის შტატი) დაამარცხა ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდი — 102:59.

ფეხბურთი. ერევანში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში. ორი ოქროს მედალი მოიპოვა მასპინძელმა დ. ამბარცუმიანმა. იგი უძლიერესი იყო კომკიდან და ტრამპლინიდან ხტომებში.

ქალთა შორის ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა ელექტროსტალელმა ი. უმნოვამ, კომკიდან ხტომაში — 13 წლის ერევნელმა მოსწავლემ ს. ემირზიანმა.

აბსოლუტურ ჩათვლაში ოქროს მედლები მოიპოვეს დ. ამბარცუმიანმა და ს. ემირზიანმა, ვერცხლის — ს. ქელალნოვმა და ჰ. სარქისიანმა, ბრინჯაოსი — ს. შალიბაშვილმა და ტ. სოკოლოვამ.

ბაკურიანი. მინსკში გაიმართა უმაღლესი ლიგის მოჭადრაკე ვალერა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური. იუსუპოვმა მოუგო სვეშნიკოვს, კასპაროვმა — გიორგაძეს, მაკარიჩევმა — კუპრეიჩიკს, ფაჰანიანმა — ლერნერს. ყაიმით დასრულდა რაზოკაზე-ბელიაევის, რაშკოვსკი-ტალის, გელერდოლმატოვის და ცეშკოვსკ-ანიკაევის პარტიები.



ირონიული ღიმილი

● ზამთრის მოლოდინში.

● უსიტყვოდ.

ლ. მართაშვილის ნახატები.

ზამთარია, ბიჭვინთაში კი, რომელსაც შავი ზღვის მარგალიტს უწოდებენ, ძველებურად ანათებს მზე, სამეფოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოდიან დასვენებლები.

სურათზე: დეკემბერი. ბიჭვინთაში.

ი. ბოხოლელიშვილის ფოტო

(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ორიგინალური შენობა აღიმართა ქუთაისში ჭავჭავაძის პროსპექტზე. ეს არის ლუდისა და ხილის წყლების ქარხნის საფირმო ლუდხანა „აია". ლითონჭანდაკებით, ბარელიეფებით და ხის ჩუქურთმით დამშვენებულ დარბაზში 300 ადგილია.

იგი „კოოპშენის" № 4 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა ააგო. მხატვრულად გააფორმა მხატვართა ჯგუფმა სოსო ქოიავის მეთაურობით.

სურათზე: საფირმო ლუდხანის საერთო ხედი.

ო. ბერეჩიკიძის ფოტო

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).



წელიწადის 12 თვე

დეკემბერი

ძველ რომში დეკემბერი „დეკემბრის" (მეათე თვის) სახელით იყო ცნობილი. ამ თვეში ფართოდ აღინიშნებოდა განსაკუთრებული დღესასწაულები — სატურნალიები (17-19 დეკემბერს) სატურნის პატივსაცემად. სატურნალიების დროს წყდებოდა ყოველგვარი საქმიანობა, თავისუფალი იყვნენ მოსწავლეებიც, 19 დეკემბერს თავისუფლებად ითვლებოდნენ მონები.

ლათინურ ამერიკაში დეკემბერში აღნიშნავდნენ ინდიელთა დღეს. საფრანგეთის რევოლუციური კალენდრით დეკემბრის თვეს ფრიმერი ერქვა, რაც თრაფვილის თვეს ნიშნავდა.

ძველ ქართულში დეკემბრის თვის სახელწოდება იყო „თოუე ტირისდენისაო". ამ თვის ხალხური სახელწოდებაა ქრისტეშობის თვე.

დეკემბერი ზამთრის დამდგომი. იწყება ყინვები, მოდის თოვლი: „ქრისტეშობისთვე მობრძანდა, დღემოკლე და ღამეგრძელი, ტყე სულ თეთრად დაიბარდნა, დაეკიდა თეთრი წვერი", — ნათქვამია ხალხურ პოეზიაში.

ს. ნუცუბიძე.

ამინდი

დეკემბერი ზამთრის პირველი თვეა. ამ დროს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღინიშნება ყველაზე მოკლე დღეები და გრძელი ღამეები. მზე ჰორიზონტის ზაზთან ახლოსაა და ამიტომ მისი ალმაცერი სხივები დედამიწას ნაკლებ სითბოს უგზავნის. მზის რადიაციის კლებასთან ერთად მატულობს ნიცივე. კლიმატური მონაცემების მიხედვით, დეკემბრის საშუალო ტემპერატურა საქართველოს ტერიტორიაზე, ნოემბერთან შედარებით 3-6 გრადუსით დაბალია.

დეკემბერში საქართველოში მოავრდება ციტრუსის კრეფა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, რომლებიც დიდად არის დამოკიდებული ამინდის ხასიათზე.

ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით წლევანდელ დეკემბერში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა ძირითადად ნორმის ფარგლებშია მოსალოდნელი. დასავლეთ საქართველოს ბარში ღამით იქნება 5-10 გრადუსი, დღისით 15-20 გრადუსი სითბო, ცალკეულ დღეებში ტემპერატურა დაიკლებს ღამით მინუს 2-პლუს 3 გრადუსამდე, შედა ბარის რაიონებში — ზოგან მინუს 4 გრადუსამდე ყინვა, ზოგან 3-8 გრადუსამდე სითბო.

ქართლსა და კახეთში ღამით იქნება 0-5 გრადუსი სითბო, დღისით 9-14 გრადუსი სითბო. (ალკეულ დღეებში — ღამით 3-8 გრადუსი ყინვა, ზამთრის საძოვრების რაიონებში — 7-12 გრადუსი ყინვა.

რესპუბლიკის მთიან რაიონებში ჰაერის ტემპერატურა მოსალოდნელია ღამით 3 გრადუსი ყინვა-2 გრადუსი სითბო, დღისით 5-10 გრადუსი სითბო. (ალკეული დღეებში ღამით იქნება 6-11 გრადუსი ყინვა, დღისით 0-5 გრადუსამდე ყინვა, თვის (ალკეულ დღეებში ღამით — 10-15 გრადუსი ყინვა, ზოგან — 20 გრადუსი ყინვა, დღისით — 0-5 გრადუსი ყინვა.

ნალექების დროგამოშვებით, თოვლის სახით, უფრო ხშირად მოსალოდნელია პირველ ორ დეკადაში.

ნალექების თვიური ჯამი დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთის რაიონებში შეადგენს 90-130, სამხრეთ რაიონებში — 200-400 მილიმეტრს, აღმოსავლეთ საქართველოში — 25-50, მთიან რაიონებში — ზოგან — 60-120 მილიმეტრს, რაც რესპუბლიკის ტერიტორიის უმეტესი ნაწილისათვის იქნება ნორმაზე მეტი, ზოგან ნორმასთან ახლოს.

ვ. კოპლატაძე,

თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი.

საჩუქარი გავშვებს

სოხუმი. (საკ. კორ. ი. გობეჩია). ლეჩქოფის პლატოს ახალ დასახლებაში ბავშვებისათვის გაიხსნა ატრაქციონი „მხიარული გორაკები".

ეს შესანიშნავი საჩუქარი პატარებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ უძღვნა. ატრაქციონზე ყოველდღიურად ათასობით ბავშვი ერთობა.

ავტომობილი დაგვიზამთრდა

ქალაქ თბილისის სახელმწიფო ავტოინსპექციის ერთ-ერთი დავალიანის საპატრულო სამსახურის ინსპექტორი, მილიციის სერჟანტი ზაურ გრიგოლის ძე კახიძე სამსახურის დამთავრების შემდეგ გვიან ღამით შინ ბრუნდებოდა. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე რესტორან „კოწანისის" მახლობლად ხალხი შეგროვილიყო. მდინარეში კაცი იხრჩობოდა, მაგრამ წყალში ჩასვლას ვერავინ ბედავდა. ავტოინსპექტორი ზ. კახიძე დაუყოვნებლივ გადაეშვა მტკვარში და გაწყვრილი ადამიანი, რომელიც ფოლად ისმაილის ძე ზეინალ-ზადე აღმოჩნდა, მდინარეს გამოსტაცა და დახრჩობას გადაარჩინა.

ბ. ლელაძე.



რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

□ 3 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 17.00 — აბიგურიენტთათვის — ბიოლოგია, 17.30 — „ფესტივალი" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 18.00 — მოსწავლეთათვის სამართალმცოდნეობა, 18.30 — „მოამბე" (ფ.), 19.00 შრომის წმიელი დროშის ორდენოსანი კოტე მარჯანიშვილის სახელობს სახელმწიფო აკადემიური თეატრის დაარსების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. გრანსლაცია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზიდან (ფ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — კონცერტი.

მეორე პროგრამით: 15.30 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „წიალი", 16.00 — „ბუდეწყვეტილისათვის — ფილოსოფია, 16.45—„ჩვენს დიად სამშობლოში" — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „არინას ბიდნიერება", 17.05 — საესტრადო კონცერტი (ფ.), 17.50 — „ჩვენს დიად სამშობლოში" საგელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „სარაგოვი", „ოქტავიკი" (ფ.), 18.35 — მხატვრული ფილმი — „პროფესიული ექიმი".

□ 4 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00—„ვრემია" (მ.), 17.30 — აბიგურიენტთათვის — ქართული ენა, 18.00 — ფ. შუბერტი. მეხუთე სიმფონია სი-ბემოლ მაჟორი, ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აკადემიური სიმფონიური ორკესტრი. დირიჟორი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ჯ. კანიტ (მ.), 18.30 — შვიცსწავლის ინგლისური ენა, 19.00 — განცხადებები (ფ.), 19.05 — კინონარკვევი, 19.15 — „ჩვენ ინტეგრაციონალისტები ვართ". „ზაჟარიას ვეკი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე" (ფ.), 20.30 — „საესტრადო პანორამა" (ფ.), 21.10 — „ეზოი ნათლისაო", „შუა სუოკუნეების ეპოქა ევროპაში (ფ.), 22.00 — „ვრემია" — (მ.), 22.35 — ირაკლი ანდრონიკოვი. „კონცერტი ლენინგრადის ფილარმონიაში" (მ.), შესვენების დროს — „დღეს მსოფლიოში" (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.25 — ბავშვებისათვის — მოკლემეგრაკადანი მხატვრული ფილმი „ტკარე", 16.15 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 16.45 — განცხადებები (ფ.), 16.50 — „ჩვენს დიად სამშობლოში" დოკუმენტური ფილმი „ალი-ბეკის ჯიგარგები" (ფ.), 17.30 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა, 18.15 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უუბმა პეგროვ-ვოდკინი" (ფ.), 18.30 — მხატვრული ფილმი „როგორ ეძებდა სულელი ივანუშკა საოცრებას" (ფ.).

□ 5 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00—„ვრემია" (მ.), 17.30 — აბიგურიენტთათვის — მათემატიკა, 18.00 — განცხადებები (ფ.), 18.05 — შვეიცსწავლოთ გერმანული ენა, 18.35 — განცხადებები (ფ.), 18.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.00 — „საერთაშორისო დღიური" (ფ.), 19.15 — ბავშვებისათვის — კონცერტი (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე" (ფ.), 20.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე — ქართული მხატვრული ფილმი „ამბავი აფხაზ ჭაბუაზე", 21.45 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია" — (მ.), 22.35 — „სპორტული მიმოხილვა" (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.30 — დოკუმენტური ფილმი „მამაცთა გზები", 16.30 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია, 17.15 — განცხადებები (ფ.), 17.20 — კინონარკვევი, 17.30 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა, 18.15 — „ჩვენს დიად სამშობლოში" საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყველა ჩემი ვაჟიშვილი", 18.40 — მხატვრული ფილმი — „შორეული ქვეყნები".

□ 6 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 17.30 — აბიგურიენტთათვის — ფიზიკა, 18.00 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენასა, 18.30—„ოლიმპიადა ჩვენს ნახაგებში" (ფ.), 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (მ.), 19.30 — განცხადებები (ფ.), 19.35 — კინონარკვევი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე" (ფ.), 20.30 — ფინეთის გელევიზიის პროგრამა, მიძღვნილი ეროვნული დღესასწაულისადმი (მ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — რ. ლალიძის ოპერა „ლელა" სლოვაკიაში (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.30 — მოკლემეგრაკადანი მხატვრული ფილმი „იმედის ქოხი", 16.30 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა, 17.15 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნიკარა — სავარცხელა" (ფ.), 17.35 — განცხადებები, 17.40 — სტუდენტებისათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია, 18.25 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.50 — მხატვრული ფილმი „გულუხვი საღამო" (ფ.).

□ 7 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 17.30 — აბიგურიენტთათვის — ქიმია, 18.00 — განცხადებები (ფ.), 18.05 — შვეიცსწავლოთ ფრანგული ენა, 18.35 — კონცერტი, 19.15 — „ადამიანი და გარემო" (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე" (ფ.), 20.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „დეინვიში პარიზს აფეთქებს" (ფ.), 21.40 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „ლიტერატურული ცხოვრება" (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.30 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „შუქი სახეზე" (ფ.), 16.15 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 16.45 — განცხადებები (ფ.), 16.50 — მუსიკალური ფილმი, 17.30 — მასწავლებლის საათი — ხაზვა, 18.15 — „ჩვენს დიად სამშობლოში" საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამიდ ვურუნი", 18.50 — მხატვრული ფილმი — „დიდი მოწყენილობა".

□ 8 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში" საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყველა მოვალეა" (ფ.), 10.00 — შვეიცსწავლოთ რუსული ენა (ფ.), 10.30 — „მაღვიძარა" (მ.), 11.00 — გელეკურსელთათვის — ქართული ენა და ლიტერატურა. სტუდიაში — დოდეკი თ. კვაჭანტირაძე (ფ.), 11.30 — „ცეროდინას ეკრანი", 12.00 — „სტუმრად ზღაპართან" — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „კიდელი", 20.00 — „სპორტული კალეიდოსკოპი" (განმეორებით. ფ.), 21.00 — „მოამბე" (ფ.), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მოსფლიო პირველობა სპორტულ განვარჯიშში. ქალები. ფინალი. (გადმოცემა ამერიკის შეერთებული შტატებიდან).

მეორე პროგრამით: 15.05 — დოკუმენტური ფილმი, 15.30 — „ბავშვის საერთაშორისო წელი" — მხატვრული ფილმი „ამბავი პირველი კლასელებისა" (ფ.), 16.35 — კონცერტი, 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.25 — „სიმღერა მიც მაქვს საქართველოზე". ლ. სულაბერიძის პოეზია (ფ.), 17.50 — მხატვრული ფილმი — „სათადარიგო აეროდრომი" (ფ.).

ავტომფლოგელთა საყურადღებოდ!

საწარმოო გაერთიანება ავტო ზაზ-ის მიერ დამზადებული ავტომობილ-ეტები ზაზ-968 ა ძარის (ადაპტირული და შეიღებული კომპლექტში) **ზაზ-965 ავტომობილზე დასაყენებლად.** აღნიშნული კომპლექტები ძარებთან ერთად შეიძლება შეძენილ იქნეს მხოლოდ მიმდინარე წელს (კომპლექტის საორიენტაციო ღირებულება 3000 მან.).

ავტომანქანა ზაზ-965-ის ზაზ-968 ა-ზე ადაწყობის მსურველებმა 10 დღის ვადაში მიმართეთ „ავტოტექმომსახურების" **თბილისის** (ახითის გზატკეცილი, 106), **ქუთაისის** (გორის 155), **აფხაზეთის** (ქ. სოხუმი, ოქტომბრის 19), **აჭარის** (ქ. ბათუმი, ბარათაშვილის 18) საწარმოო გაერთიანებებსა და **თელავის** (თბილისის გზატკეცილი) ტექნიკური მომსახურების სადგურს.

საქართველოს რესპუბლიკური სპეციალიზებული სამმართველო „ავტოტექმომსახურება".

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲯᲘᲠᲩᲘᲩᲘᲜᲐᲫᲔ

ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲯᲘᲠᲩᲘᲩᲘᲜᲐᲫᲔ



ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲗᲘᲗᲛᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲘᲪᲐᲓᲐ, ᲒᲐᲠᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲙᲐᲨᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲯᲘᲠᲩᲘᲩᲘᲜᲐᲫᲔ ᲛᲘᲦᲘᲝ. ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲗᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ 50-ᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲓᲐ.

Გ. ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲔᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲗᲔᲛᲐ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲤᲐᲠᲒᲚᲘᲡ ᲐᲛᲘᲦᲧᲔᲚᲔᲑᲐ. ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲐᲡ ᲐᲛᲘᲦᲧᲔᲚᲔᲑᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲪᲐᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲐᲛᲘᲦᲧᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚ